ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 ოთხშაბათი, 17 ნოემბერი, 1904 წ.

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ,
11	,, . .	9 ,, 50 ,.
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 263 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 263

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ , მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაურია სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

ტელეფონი № 63. აბონემენტის რიცხვში წარმოდგენა № 5.

სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება პირველად

I
ახალი პიესა
საქმის კაცი
(ფულის ძალა)
დრამა 3 მოქმ., მირბოსი, თარგ. ღორთქიფანიძისა.

II
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია
ვოდევილი 1 მოქმ., გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, ივანიძე, მესხი, მატარაძე, სვიმონიძე, სარჯველაძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი ტ სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ამხანაგობის დირექცია. მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

შემდეგი წარმოდგენა – ბენეფისი ვას. აბაშიძისა.

მზადდება **წარმოსადგენად:** «იულიოს კეისარი», «მედეია», «ერნანი» და სხვ.

დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან

საყოველთაო სურათებიანი კალენდარი

შედგენილი **კ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერი და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა ამავე ავტორის

სურათებიანი კედლის კალენდარი,

შევსებული მრავლ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

ადრესი: ტფილისი, კ. თავართქილაძე. (6—3).

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს,

გაიმართება ქართულ დრამატიულ საზოგ. დასის-მიერ ქართული წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

I
საქმის კაცი
(ფულის ძალა)
დრამა 3 მოქმ. მირბოსი.

II
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია
ვოდევილი 1 მოქმედ., გ. სუნდუკიანცისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს,
ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება

რომეო და ჯულიეტა
ოპერა 5 მოქმ., მუს. გუნოსი.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. ბეცევიჩი

ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად პირველად «**ალეკო**», მუსიკა რახმანინოვისა და «**მანდარინის შვილი**», ც. კიუისა.

ბილეთები იყიდება.

გამგე ი. კელდერი.

ქართველნი მკურნალნი:

ბედევანიშვილი მიხეილ,—ორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

ბძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე,—დორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აპეტიხიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

გ. სოლოლაშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** $1\frac{1}{2}$—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

გ. ა. თარხანოვი. $7\frac{1}{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

პ. ა. არდაზიანი. აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქ[illegible]ლიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ [illegible] памятн. Воронцова წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

კიდევ ერთი ესკადრა. ჯერ მეორე ესკადრას რუსეთისას არ გაუვლია მეათედი ნაწილი გრძელის გზისა, და გაზეთი „ნოვოე ვრემია“ ურჩევს რუსეთის ბედის გამგებელთ,—ვინძლო არ დაიგვიანოთ და მესამე ესკადრის გამზადებას შეუდექითო, თორემ მერე ისე გაგვიძნელდება მისი გამოყვანა, ბრძოლის ველზედ, როგორც მეორე ესკადრისა, რომელსაც მთელი ხუთი თვე მოუნდა, მანამ გზას გაუდგებოდაო. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ესკადრა უზიანოთ ჩავიდა დიდ ოკეანეში; წარმოვიდგინოთ, რომ მისნი მეზღვაურნი ყოვლად გაწვრთნილნი და მცოდნენი გამოდგნენ; წარმოვიდგინოთ, რომ მან გამოიჩინა დიდი უნარი და ერთიან დაამარცხა ადმირალ ტოგოს ესკადრა, რომელმაც დაუთმო პირველობა ზღვაზედ და თითონ მიიმალა იაპონიის სანაპირო ნავთსადგურებში. გინდ ყოველივე ეს წარმონადგენი ერთიან გამართლდეს, მაინც არა კმარა სრულის გამარჯვებისათვის, რომ მტერი განდევნილ იქმნას ზღვიდან. მას იმდენი ძალა მაინც კიდევ შეჰრჩება, რომ გაიმაგროს იაპონიის მიჯნები და არ მიუშვას რუსეთის გემები სანაპირო ქალაქების დასანგრევათ და ტოკიოში გასაბატონებლად. პირველი ესა, რომ, რაც გინდ დიდი სამხედრო ნიჭი გამოიჩინოს ადმირალმა როჟესტვენსკიმ და მისმა მეზღვაურებმა, მაინც შეუძლებელია, რომ მტრის ესკადრის დამარცხებაში თითონაც არ გაუფუჭდეს თავისი გემები და არ შეუმცირდეს მათი რაოდენობა. ჯერ ეხლანდელი ძალაც რომ შეჰრჩეს ხელუხლებლად, ისიც არაა საკმარისი სრულის გამარჯვებისათვის, და თუ ამ ძალას მოაკლდა რამ, რაიცა აუცილებელია ომის დროს, მაშინ დავინახავთ, თუ რა დიდად საჭირო იქმნება მისთვის მესამე ესკადრა, და აბა მაშინ რაღას ვუშველით?! სწორედ იმ დროს, როდესაც იაპონელების გემები დაზიანდებიან და თავიანთ სანაპირო ნავთსადგურებისაკენ დაიქსაქსებიან თავშესაფარებლად, აბა მაშინ არის საჭირო მესამე ესკადრა, რომ ახლა ამან დაჰქროლოს მტერსა და ერთიან გაანადგუროს მისი საზღვაო ძლიერებაო. აბა მაშინ გამართლდება რუსეთის სარდლების გეგმა. იაპონია წელ-მოწყვეტილი იქმნება, თავის კუნძულზედ სულგანაბული, ვეღარც მაშველ ჯარს და მიაწოდებს მარშალ ოიამას, ვეღარც სურსათს გაჰგზავნის, და მტერი მანჯურიაში იქმნება დამწყვდეული. რუსის გემები დაიჭერენ კორეის ნავთსადგურებს: მოზამპოს, ჩემულპოს, ფუზანს, გენზანს ტ სხვ. ხმელეთის ჯარები მიაწვებიან გათამამებულ მტერს მანჯურიაში და გაჰფანტვენ ზღვის ნაპირებისაკენ, სადაც მათ დაჰხვდებათ, თავიანთ გემების ნაცვლათ, რუსეთის გემები. აი ამისთანა გამარჯვებისათვის არის საჭირო მესამე ესკადრა. თუ იყოს—იყოსო, თუ არა—წყალმა რიყოსო. თუ ერთიან არ გავანადგურეთ მტერი, იგი ისეთი მამაცი და მხნე ყოფილა, რომ მცირე დამარცხებას ადვილათ აიტანს და მერე აღარ მოგვისვენებსო, ჩვენთვის კი აუცილებლად საჭიროა დიდის ხნის მოსვენება, რომ აღვიდგინოთ ის უშველებელი ზარალი და სახელის გატეხა, რომელიც დაგვეწყდა ამ ომიანობისაგან და რომელიც, მგონი, ორ მილიარდ მანეთს აღემატოსო. ბოლოს გაზეთი უჩვენებს წყაროს, რომლიდგანაც შესაძლოა შეადგინონ მესამე ესკადრა. ამისთვის დარჩა რამდენიმე ჯავშნიანი გემი ბალტიის ზღვაში, კარგა ბლომა ნაღმოსანი და კრეისერები. ამათ მიუმატეთ შავი ზღვის ფლოტი, და მესამე ესკადრა მზათაა. ნურავინ იტყვის, ვითომც სათათრეთი ნებას არ მისცემს რუსეთს, რომ შავის ზღვის ფლოტმა დარდანელში გაიაროს. ამ ფლოტის დანიშნულება არის—წინააღმდეგობა გაუწიოს სტამბოლის მტრულ განზრახვას, რუსეთის საწინააღმდეგოს. მაშასადამე, ფლოტი სტამბოლის ასალაგმავადაა შავ ზღვაზედ. თუ კი იგი მოჰშორდება ამ ზღვას, მეტი ბედნიერება რაღათ უნდა სათათრეთს. ამ სახით, არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობება რუსეთსა, რომ დღესვე თავი-თავს მოუყაროს გაქსაქსულ გემებს, შეადგინოს მესამე ესკადრა და საჩქაროთ დაადევნოს მეორე ესკადრასო. (ნოვ. ვრ.).

რუსეთის ახალი ფლოტი. «ბერ. ლოკ. ანც.»-ის სიტყვით, რუსეთს საადმირალო ახალ ფლოტის გაჩენის გეგმას ადგენს და ეხლანდელ ომით შეძენილ გამოცდილებით სარგებლობს. საადმირალომ უარ-ჰყო პალუბა ჯავშნიანი კრეისერი, „ვარიაგ»-ის მაგვარი გემები, და ისევ ჯავშნიანი კრეისერები არჩია. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, თუ რამდენ ჯავშნიან გემსა და კრეისერს ააშენებენ, რადგან ეს ომის შედეგზეა დამოკიდებული. რუსეთის მთავრობა დარწმუნდა, რომ ძლიერს სამხედრო ფლოტს სახელმწიფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ეცდება ფლოტით ძლიერ სახელმწიფოთა შორის ისეთი ადგილი მაინც დაიჭიროს, რომელიც ეხლანდელ ომის დაწყებამდე არ ეჭირა. ამ აზრის მისაღწევად რუსეთი არავითარ ხარჯს არ მოერიდება.

ამავე საგნის შესახებ გაზეთი „დეილი ტელეგრაფ»-ი იუწყება: რუსეთის საადმირალომ შეადგინა გეგმა ახალ ფლოტის შეძენისა, რომელსაც 400 მილიონი მანეთი დასჭირდება. ეს გეგმა, გაზეთის სიტყვით, უკვე მიღებული და მოწონებულია. ამ ახალ გემების აშენებას უცხოეთის საზოგადოებებს შეუკვეთენ და ამ საზოგადოებებთან მოლაპარაკებაც უკვე დასრულებულია. გემების აშენებისთვის საჭირო ფულს რუსეთი გერმანიაში სესხულობს. რადგან ბევრის გემის აშენება გერმანელების კერძო ფირმებს უკისრნიათ, ამიტომ რუსეთის მიერ ნასესხ ფულის უმეტესი ნაწილი ისევ გერმანიაში დარჩებაო. (ნ. ვ.).

მდინარე შახეზე. «ბერლ. ტაგ.»-ის კორესპონდენტი, რომელიც რუსეთის ჯარში იმყოფება, მუკდენიდან იწერება: ეხლა აქ პორტ-არტურის განთავისუფლებაზე ხმელეთიდგან სრულებით აღარ ჰფიქრობენ. რუსეთის ჯარი საზამთროდ დაბანაკდა. ჯარის უმეტესი ნაწილი სოფლებშია დაბინავებული და მხოლოდ მცირე ნაწილი კარვებში სცხოვრობს. მიწურებში მცხოვრები ჯარი სიცივისაგან კარგად არის დაფარული. ღამ-ღამობით დიდი ყინვაა, დღისით კი თბილა და მზეც ანათებს. (რ. ვ.).

რუსეთის ჯარის რაოდენობა შორეულ აღმოსავლეთში. «ნიუ-იორკ ჰერალდ»-ის პეტერბურგელ კორესპონდენტის სიტყვით, ნოემბრის შუა რიცხვებში გენერალ კუროპატკინს ისეთი ჯარი ეყოლება, რომელიც, სწორედ რომ ვიანგარიშოთ, 550,000 კაცისაგან შესდგება. აქვე უნდა ჩაირიცხოს ვლადივოსტოკის რაზმი, რომელიც 32,000 კაცისაგან შესდგება და რკინის გზის დამცველი ჯარი. გენერალ კუროპატკინს ეყოლება 450,000 ისეთი ჯარის კაცი, რომელთაც ბრძოლაში პირდაპირ მონაწილეობის მიღება შეეძლებათ. ამ ჯარში იქნება 387 ბატალიონი, 261 ესკადრონი, 1406 ზარბაზანი, მეცხენე არტილერიის 26 როტა და 91 საინჟინერო როტა. (ყაზ.).

წერილი ბრძოლის ველიდან. გაზეთ «ყაზბეგ»-ს მანჯურიიდან მოსვლია წერილი ვინმე ნ. პ.—სგან, რომელსაც 18 მკათათვესა და 13 და 20 აგვისტოს მომხდარ ბრძოლებში მონაწილეობა მიუღია.

«სამ ცხარე ბრძოლას დავესწარი,— სწერს ნ. პ.:—18 მკათათვესა და 13 და 20 მარიამობისთვეს. ყველაზედ უფრო ცხარე ბრძოლა 13 მარიამობისთვეს მოხდა. ამ ბრძოლაში სამის ტყვიით მოჰკლეს ჩვენი ზმიევსკი. უკან დახევა ძალიან გვეწყინა. მოკლულები ბრძოლის ველზე დავტოვეთ, დაჭრილები კი ძლივს ძლიობით წამოვიყვანეთ. ქვეითა ჯარმა თავის დაჭრილები ბრძოლის ველზე დასტოვა. ლიაოიანის ბრძოლაც ძალიან ცხარე იყო. აი, სწორედ აქ იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი: ათასის ზარბაზნის გრიალი, რამდენიმე ასი ათასის თოფის ჭახაჭუხი, ყვირილი, გუგუნი, კვნესა და ცხენების ჭიხვინი—ყველა ეს ერთმანეთში ირეოდა და აუწერელ საშინელებას წარმოადგენდა; ირგვლივ ათასი გვამი, სისხლი, სიკვდილი, არც წინიდგან და არც უკანიდგან ხსნა არ არის — ეს საზარელი სურათი იყო, მე კი ამ დროს ვიწექი და მოპირდაპირეს ტყვიებს ერთი-მეორეზე ვუგზავნიდი. როცა აქ ჩამოვედი, მეშინოდა. ეხლა კი ტყვიას თავს არ ვარიდებ, მაგრამ ყუმბარა საზარელი რამ არის: ყუმბარის ნატეხით უმეტეს შემთხვევაში სასიკვდილოდ იჭრებიან. ზოგს გულში ორი და სამი ტყვია ჰხდება, მაგრამ ერთითვის შემდეგ ეს კაცი ისევ მებრძოლთა რიგში დგება. (ყაზ.).

ომის წვრილი ამბები. იაპონიის ნაღმიან გემების ფლოტილიამ და რამდენიმე მსწრაფლმა კრეისერმა ბრძანება მიიღეს: საჩქაროდ ნახშირით დაიტვირთონ და ზღვაში გადიონ. ჰგონიათ, რომ ეს რაზმი ბალტიის ესკადრას უნდა დაუხვდეს და სადმე ჩაუსაფრდეს. ამბობენ, ეს რაზმი არავითარ დაბრკოლებას არ მოერიდება და ეცდება ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა ან დაზიანოს და ან შეაჩეროს (ყაზ.).

ახალი ამბავი

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში. მოვაგონებთ საზოგადოებას, რომ დღეს ქართული დრამატ. დასი წარმოადგენს სახაზინო თეატრში ოქტავ მირბოს ცნობილ პიესას «საქმის კაცს» (Les affairs sont les affairs, სამ მოქმედებიანი კომედია, ფრანგულიდან ნათარგმნი ვლ. ღორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქიფანიძის მიერ). მთავარ როლებს ასრულებენ ქ-ნნი ნ. გაბუნია, ნ. ჩხეიძისა და ბ-ნი კ. მესხი, შათირიშვილი და სხვანი. დასასრულ წარმოდგენილი იქნება გ. სუნდუკიანცის მხიარული ვოდევილი ტფილისის სომეხთ ვაჭრების ცხოვრებიდან «საღამოს ერთი ცხვირი ხეირია», ვასილ აბაშიძის მონაწილეობით.

მირბოს ახალი პიესა მეტად საინტერესოა და შეეხება თანამედროვე გამდიდრებულ ბურჟუას დახასიათებას. პიესამ ყველა ევროპის სცენები მოიარა, მიუხედავად იმისა, რომ პიესა სულ ორიოდე წელიწადია, რაც დაწერილია. იმედია, ჩვენი საზოგადოება ჩვეულებრივ გულგრილობაზე ხელს აიღებს და ბლომად დაესწრება ამ საინტერესო წარმოდგენას.

⁂ **მინისტრის პლევეს მოკვლის საქმე.** როგორც გაზეთი «რუსი» იუწყება, პეტერბურგის სამოსამართლო პალატის განსაკუთრებული განყოფილება, სხვა და სხვა წოდების კაცთა თანადასწრებით, განიხილავს შინაგან საქმეთა მინისტრის პლევეს მკვლელთა საზონოვისა და სიკორსკის საქმეს ამ თვის 30. საზონოვს დაიცავს ნაფიცი ვექილი ბ-ნი კარაბჩევსკი და სიკორსკის—ნაფიცივე ვექილი კაზარინოვი. (ახ. მიმ.).

⁂ **საფილარმონიო საზოგადოება.** ნამდვილად შევიტყეთ, რომ ამ თვის 13 კიდეც ჩაუბარებიათ ბ-ნ ი. კარგარეთელისათვის «ტფილისის ქართულის საფილარმონიო საზოგადოების» წესდება, რომელიც მთავრობამ ამას წინად დაამტკიცა, ეხლა საჭიროა ამ წესდების ათი ეგზემპლიარი დაბეჭდილი წარედგინოს მთავრობას და დაუყოვნებლივ იქმნას მოწვეული დამფუძნებელთა საზოგადო კრება გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და თვითონ საზოგადოების მოქმედების დასაწყებად. საჭიროა აგრეთვე პირველის კრებისათვის საკვიტანციო დავთრის მომზადება, თორემ ბევრსა აქვს ეხლა ფული შემოსატანი და არ იციან, ვის მიჰმართონ. კრების მოწვევის დღე და განსახილველ საგანთა პროგრამა უნდა გამოცხადებულ იქმნას ადგილობრივს გაზეთებში.

⁂ **საქალაქო დებულების გადასინჯვა.** სატახტო ქალაქთა გაზეთები იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა 1902 წლის საქალაქო დებულების გადასინჯვას იმ აზრით, რომ შეუფარდოს იგი ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნილებას. ირწმუნებიან, რომ გაფართოვებულ იქმნება ქალაქის თვით-მმართველობათა უფლება და შეასწორებენ ზოგიერთ იმ მუხლებს, რომლის წყალობითაც ქალაქის თვით-მმართველობასა და ადგილობრივ ადმინისტრაციას მუდამ უთანხმოება მოსდით ხოლმე. ამას გარდა, განზრახვა აქვთ, რამდენადაც კი შესაძლებელი იქმნება, გააფართოვონ მცხოვრებთა საარჩევნო უფლებანი.

⁂ **მთავარმართებლის თანაშემწე** ი. დ. მალამა 14 ნოემბერს წამოვიდა ეკატერინოდარიდან და დღეს, 17 ნოემბერს, მოელიან ტფილისში.

⁂ **ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში** კლასის დამრიგებლის თანაშემწედ სათანადო მთავრობამ დაამტკიცა დრამატიულ საზოგადოების მდივნად ნამყოფი ბ-ნი დ. ნახუცრიშვილი.

⁂ **საბჭოს კრება.** ორშაბათს, 15 ნოემბერს, კრება ჰქონდა ტფილისის ქალაქის საბჭოს. ყურადღების ღირსი იყო წინადადება ხმოსან მიქელაძისა, რომელიც ურჩევდა საბჭოს პროგიმნაზიულ კლასების დაარსებას ავლაბარში რომელისამე აწ არსებულ კლასიკურ გიმნაზიისათვის. ავლაბრის მცხოვრებთა რიცხვი თითქმის აღემატება 40,000 სულს და ასეთს დიდს ნაწილს ქალაქისას არა აქვს პროგიმნაზიაც კი, თუმცა მოსწავლე ბავშვთა რაოდენობის კვალობაზე ორი გიმნაზიაც ძლივს დააკმაყოფილებდა მის სწავლის მოთხოვნილებას. საბჭომ დაადგინა—გამოიღოს პროგიმნაზიულ კლასებისათვის 10,000 მ. წლიურად, უკეთუ რომელიმე გიმნაზია მოისურვებს ავლაბარში პარალელ კლასების დაარსებას. მეორე საგანი შეეხებოდა სულით ავადმყოფთათვის სახლის დაქირავებას. ეხლა ეს საავადმყოფო სოლოლაკის აღმართში აქვს ქალაქს კერძო სახლებში, რომლის პატრონებიც თხოულობდნენ ახალ ხელ შეკრულობას სამერმისოდ. საბჭომ დაადგინა, საკუთარი და უფრო სახერხო შენობა იქონიოს ამ საავადმყოფოსთვის, და დაავალა გამგეობას, რომ შეადგინოს გეგმა ისეთის შენობისა, რომელშიაც დაიდგმებოდეს 60 საწოლი, და აგრეთვე იანგარიშოს, რა ეღირება ამ შენობის აგება და ყოველისფრით მოწყობა. საბჭოსა ჰსურს აგოს შენობა ან ავლაბრის, ან ნავთლუხის მიწებზედ. დანარჩენი დრო კრებამ მოახმარა წვრილის საქმეების განხილვას.

⁂ **ანდრეევის მოკვლის საქმე.** როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, განჯის ვიცე-გუბერნატორის მოკვლის საქმეს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო განჯაში განიხილავს 23 ნოემბერს, კავკასიის-სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის გენერალ-ლეიტ. მაკედონსკის თავმჯდომარეობით. ანდრეევის მოკვლაში ბრალი ედება განჯის მაზრის მცხოვრებთ გლეხთ კრიკორ ღუქასოვს, ხოლო სიმონ და ოვანეს ფარაშევებს ისა ჰბრალდება, რომ დამნაშავეს ჰმალავდნენ. როგორც ვიცით, ამ საქმეს სასამართლო განიხილავს ომიანობის დროის წეს-რიგით... ბრალდებულთ იცავენ ნაფიცნი ვექილნი ნ. კ. მურავიოვი (მოსკოვიდგან) და ლ. ა. ხომენტოვსკი.

⁂ **ფულისა და ამანათების სახლში ჩაბარება.** ფოსტა-ტელეგრაფის მთავარგამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ 15 ნოემბრიდგან ყველა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებმა ფულის ამანათი (денежные переводы) 500 მანეთამდე ადრესატებს თავიანთ ბინაზედ უნდა გაუგზავნონ დეპეშების დამტარებელთა ხელით, რომელნიც უფრო სანდო იქნებიან, ხოლო თუ 500 მანეთზედ მეტია ფულის ამანათი, მაშინ საგანგებოდ დანიშნულმა მოხელემ უნდა ჩააბაროს ადრესატს.

⁂ **რუსეთის ფოსტა** გუშინ ტფილისში არ მოსულა კავკავისაკენ გზის გაფუჭების გამო.

საქართველო

ფოთი. მეყასბეთა თავგასვლა. აქაური მეყასბეები სრულებით არ აქცევენ ნიხრს ყურადღებას და ჰყიდიან ხორცს, როგორც თვითონ მოესურვებათ. მაგალითად, გირვანქა ხორცს ზოგი 12 კაპ. ჰყიდის, ზოგი 11 კაპ. და ზოგიც 10 კ. ხორცის ხარისხს ხომ სულაც არ დაგიდევენ და რა ადგილის ხორციც უნდა მოგცენ, სულ ერთ ფასს იღებენ. 8 ამ თვეს ერთმა აქაურმა ცნობილმა მეყასბემ სანოვაგით სავსე კალათა წაართვა ერთ აქაურ რესტორანის მზარეულს. მიზეზი, თურმე ის ყოფილა, რომ ამ უკანასკნელს ხორცის ხარჯვა შეუწყვეტია. ამ ვაჟ-ბატონსაც ძალ-მომრეობისათვის მიუმართავს. როცა მისულა რესტორანის პატრონი და მიზეზი უკითხავს, მეყასბეს მუშტებით უპასუხნია. განა პოლიციის მოვალეობა არ არის, ბაზარში წეს-რიგის დაცვა? ოღონდაც, მაგრამ ვინ არის პატრონი?!

პელაშვილი.

ქ. თელავი. ჯარის კაცთა გაყვანა. ეს ერთი თვეა, რაც თელავის ქუჩები ძილისაგან გამოაფხიზლეს მაზრიდამ გამოწვეულთ ჯარის კაცად მისაღებად. თელავის მაზრიდამ გამოწვეულნი 9 და 10 ნოემბერს გაგზავნეს სხვა და სხვა ადგილას. წელს მაზრიდან წაიყვანეს 253 კაცი. თუმცა 255 უნდა მიეღოთ, მაგრამ 2 კაცი დააკლდათ. საზოგადოდ წელს თითქმის ყველა მხრიდგან შეღავათიანებს მოუხდათ წასვლა, რაც წინა წლებში იშვიათი შემთხვევა იყო. ზოგი ოჯახის ერთი წევრი ჯარში ემსახურება და მეორეც მიიღეს. ვიდრე ახლად გაწვეულნი თელავში ტრიალობდნენ, მიკიტნის და მაგარ-სასმელების დუქნები დაკეტილი იყო გარედან, თუმცა მუშაობა კი არ შეუჩერებიათ. საზოგადოდ მოვაჭრეებს ასეთი ჩვეულება აქვთ, გარედან დარაბებს მიჰხურავენ და შიგნით კი თვითონ არიან და მეორე კარებიდგან მუშტრსაც იღებენ. ასე იციან უქმე დღეებშიაც, დახშულ ჰაერში და ნახევრად ბნელ დუქანში ამუშავებენ ნოქარ-შეგირდებს და ის შეგნება არა აქვთ, რომ ისინიც ადამიანები არიან და იმათაც სჭირიათ მოსვენება და თავისუფალი ჰაერი.

შიდა-კახელი.

ს. ჭანჭათი. (გურია). სოფელ ჭანჭათსა და ნიგოითს შუა სძევს კარგად მოზრდილი სახაზინო ტყე, საიდგანაც ამ სოფლის მცხოვრებნი სარგებლობენ, როგორც შეშით, ისე ხე-ტყითა და სხვა საჭირო მასალით, რისთვისაც მცირე ბაჟსაც იხდიან, მაგრამ ეს რამდენიმე ხანია, ვიღაცეებმა მიჰყვეს ტყის საერთო ჩეხას ხელი და სულ რამდენსამე თვეში ისე ასჩეხეს, რომ ვეღარც კი იცნობთ. სჭრიან როგორც დიდს, ისე მოზარდ ხეებს, რომელიც სულ ორიოდ-სამიოდე წლის განმავლობაში გაიზრდებოდა და ძვირფასი ხე შეიქმნებოდა, რომ დაეცლიათ. მართალია, ამ ტყეს მცველიცა ჰყავს მთავრობისაგან დანიშნული, მაგრამ რაღაც მიზეზით ამ ბოლოს დროს ტყის დაცვისათვის სრულებით არა ჰზრუნავს. რამდენისამე ხნის წინად იგივე ტყის მცველი, ვისმე რომ უბრალო წკნელი მოეჭრა, მაშინვე ოქმს შეუდგენდა და თავის უფროსთან აფრენდა. უფროსი ერთი-ორად აჯარიმებდა წკნელის მომჭრელს და უბაჟოდ გამტანს, ეხლა კი, როცა ტყე სრულიად იკაფება, ხმას არ იღებს... ასეა თუ ისე, ისევ სოფელმა თუ არ იზრუნა ტყის დაცვისათვის, სულ განადგურდება და მერე ვერც ბაჟით იშოვნიან და სხვაგან ძებნა მოუხდებათ. წელს მოსავალი ჩვენს სოფელში, როგორც სიმინდისა, ისე ღვინისაც, საშუალოზედ ცოტა ნაკლები იყო.

წვერა.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

პოლონელები სცხოვრობენ ავსტრიასა, გერმანიასა და რუსეთში. იმათ შესახებ რუსთა გაზეთები ხშირად მსჯელობენ. ამ წლის „ნოვოსტი“-ს მე-292 №-ში მოთავსებულია წერილი „შეხედულება პოლონელებზედ“. ჩვენ ვეცდებით გავაცნოთ მკითხველებს ამ წერილის ზოგიერთი ადგილი:

«არის თუ არა დღეს ავსტრიაში პოლონური საკითხი? უეჭველად იქ ეს საკითხი არ არსებობს.. ეს საკითხი იქ იმდენად შესუსტდა,—რომ რეიხსტრატში პოლონელთა ჯგუფი—მთავრობის პოლიტიკის საიმედო ბურჯია. პოლონელებს ავსტრიაში აძლევენ პირველ მინისტრის ადგილს (პოტოცკი და ბადენი),—ფინანსთა მინისტრობას (დუნაევსკი) და გარეშე საქმეთა მინისტრობასაც კი (გოლუხოვსკი). გალიციის პოლონელნი, დღეს მთავრობის მომხრეებად ითვლებიან და სცდილობენ თვისი ერთგულება დაუმტკიცონ. ამ რამდენისამე ხნის წინად,—ასე 1846 წელს, მთავრობა პოლონელებს სხვანაირად უცქეროდა. მთავრობას მაშინ ფრიად ესიამოვნებოდა,—რომ იმ დროს პოლონელთა გლეხები უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთ მებატონეებისა და ხშირად სიცოცხლეს ასალმებდნენ ამ უკანასკნელთა... დღეს კი ავსტრიის პოლონელები სრულიად აღარ ფიქრობენ ამბოხებას მთავრობის წინააღმდეგ, აღარ ეტანებიან პოლიტიკურ დამოუკიდებლობას,—არამედ ჰაბსბურგის სამეფო გვარის უერთგულესი ყმები არიან».

ჩვენ (რუსები) ვერ მივცემთ პოლონელებს, რაც ავსტრიამ მისცა. ვერ მივცემთ პოლონელებს ავტონომიას (თვითარსებობას),—რადგანაც რუსეთის სახელმწიფოში რუსნი—უძლიერეს და მრავალრიცხოვანს ერს წარმოადგენენ. ეს თვით პოლონელებსაც უნდა ჰქონდეთ გათვალისწინებული. პოლონელები დღეს ავტონომიას აღარ ფიქრობენ და არც შეუძლიანთ იფიქრონ, რადგან კარგად ახსოვთ რუსთა მთავრობის წინააღმდეგ მოხდენილი ორგზითი ამბოხება. 35 წელიწადია, რომ რუსთა პოლონეთში თვით-მართველობის აჩრდილიც კი აღარაა. არაა იქ არც საერობო, არც სათავად-აზნაურო დაწესებულებანი, არც საარჩევნო საქალაქო გამგეობანი, არც ნაფიც მსაჯულთა სამართალი, და მთელს საზოგადოება დამოკიდებულია საგლეხო მამასახლისსა და მაზრის უფროსზე. ყველა უმაღლესი თანამდებობა რუსთა მოხელეებს უჭირავთ,—სამართალი და საქმის წარმოება ყველა ადგილას რუსულს ენაზეა. პოლონურს მწერლობას ასწავლიან ვარშავის უნივერსიტეტში რუსულს ენაზე. ნუ თუ შეუძლია პოლონელმა იფიქროს—ასეთი მდგომარეობიდამ უეცრად ავტონომიას მიაღწიოს?! რუსთა წინააღმდეგ ამბოხებას დღეს პოლონეთში აღარ ფიქრობენ: არც ვგონებთ,—დღეს ამას იქ ფიქრობდეს ვინმე საღის ჭკუის პატრონი.. დღეს პოლონელებს ესაჭიროებათ ცხოვრების განკარგება და არა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. პოლონელთ ეტყობათ,—რომ თანდათან რუსებს უახლოვდებიან (პუშკინის დღესასწაული)... პოლონელნი შეურიგდენ თვისი ქვე-ბედის გადაწყვეტილებას და მოელიან მთავრობისაგან ცხოვრების გაუმჯობესობას. რუსთა პოლონეთის ცხოვრება საგრძნობლად გაუმჯობესდება,—უკეთუ ედირსება ყველა იმ დაწესებულებათ,—რომელნიც არსებობენ სახელმწიფოს ძირითადს გუბერნიებში, და უკეთუ პოლონელებს მთელს რუსეთში უფლების მხრით სრული თანასწორობა მიენიჭებათ. სახელმწიფოსთვის ის აჯობს,—როდესაც ყველა მისი წევრნი ზნეობრივად მონაწილენი არიან სახელმწიფოს ქვე-ბედში,—მის სიძლიერეს და სამოქალაქო წარმატებაში. პოლონელთა ცხოვრების გაუმჯობესება რუსთა მხრით მთელი სლავიანების გულს მოინადირებს რუსეთის მიმართ. პოლონელთა გარუსება მთავრობას ფიქრად არასოდეს ჰქონია. რაიცა შეეხება პოლონურს ენას,—შეიძლება ის იხმარონ პოლონელებმა თვისს საზოგადოებრივს, წოდებრივს და კერძო ცხოვრებაში. პოლონელებს ისევე უნდა ექცეოდნენ რუსები, როგორც გერმანელებს. რუსეთში პოლონელები—12 მილიონია და გერმანელები—მილიონზე ცოტა მეტი. ბალტიის მხრის გუბერნიებს აქვთ თავისი საკუთარი დაწესებულებანი,—ისეთივე დაწესებულებანი უნდა მივანიჭოთ პოლონელებს: სამსახურში უნდა იღებდნენ ყველგან,—ზოგიერთს სასწავლებლებში უნდა ასწავლიდნენ პოლონურს ენაზე,—უნდა მიეცეთ და ჰქონდეთ დროგამოშვებითი გამოცემანი, დამოუკიდებელნი ცენზურისაგან. უნდა დავივიწყოთ პოლონელთა წარსული შეცდომა. ნუ თუ სამუდამოთ უნდა ვინმე ვტანჯოთ ან ვაჯილდოვოთ წარსულისთვის?! საქმის ვითარება თხოულობს ჩავუკვირდეთ აწმყოს და მოვამზადოთ საუკეთესო მერმისი».

ნათქვამი პოლონელების აწინდელ მდგომარეობის შესახებ, შეიძლება ითქვას მეტ-ნაკლებობით მთელის ამიერ კავკასიის შესახებაც. სამი უმთავრესი ერი სცხოვრობს ამიერ-კავკასიაში: ქართველები, სომხები და თათრები. ქართველები და სომხები შეუერთდნენ რუსეთის სახელმწიფოს თავის ნებით, კავკასიონის მთის მწვერვალზე რუსეთის დროშა აღაფრიალებინეს და დიდი დახმარება გაუწიეს რუსებს კავკასიის მთიელთა დაპყრობასა და დამშვიდებაში. რუსეთი, ამიერ-კავკასიაში დამკვიდრებული, დღეს მრავალ სახელმწიფოსთვისაა საშიში... ქართველებმა და სომხებმა, ამ ორმა იესოს მოძღვრებისათვის მრავალ-წამებულმა ერმა, არა ერთი და ორი შესანიშნავი სამხედრო გვამი, შეჰმატეს რუსეთს, რომელთ სახელი უკვდავების შარავანდედით მოსილია რუსეთის სამხედრო ისტორიაში... ამ ორმა ერმა დაამტკიცა ცხადად, რომ შეუძლიან რუსებთან ერთად ცხოვრების უღელი სწიოს, ქართველთ და სომეხთ, რუსებთან ერთად, აქვთ აწმყო და სურთ მათთან ერთად ჰქონდეთ მყობადიც. ამის გამო მათ სრული იმედი აქვთ და კიდეგაც უნდა ჰქონდეთ, რომ მიენიჭებათ ყველა ის დაწესებულებანი, რომელნიც რუსეთის ძირითადს გუბერნიებს აქვთ მინიჭებული. ნაფიც მსაჯულთა სამართალი და ერობა, აი ის ორი დაწესებულება, რომელ მონიჭებას ამიერ-კავკასიისათვის

ფელეტონი

ჭეშმარიტება და გენიოსი.

ვითა ცის მკერდი ჰაეროვანი,
უღრუბლო, მშვიდი, ნაზ-მშვენიერი,
თვის ღრმა წიაღში ლაჟვარდოვანი
ზღვა განისვენებს, წყნარი, ძლიერი...
ვითა პეპელა
დაფრინავს ნელა
ნიავი ცელქი, თბილი და ტკბილი,
თამაშობს, ლაღობს,
რაღასაც ლაყბობს
ეს საყვარელი ბუნების შვილი...
ზღვა სთვლემს და ჰხედავს უცხო რამ სიზმარს:
ხმელეთის შუა კოშკი დგას ძველი
და ამა კოშკსა, მაღალს, საშიშარს,
შემოხვევია ვეშაპი-გველი.
კოშკის მწვერვალზე დგას ტურფა ქალი,
თვით სინარნარე, თვით სიყვარული,
ვერ შეედრება მას მზე მაღალი,
მასთან ფერ-მკრთალობს თვით გაზაფხული.
სევდით მოცული ტურფა ღვრის ცრემლებს
და ზღვისკენ იწვდის მთრთოლვარე ხელებს:
«ჩემო გულო და სულო,
ჰოჲ, მშვენიერო!
სად ხარ, სადა, ლომ გულო,
ზღვაო ძლიერო?
უღონო და ულწეო,
მარტო, სნეული,
ზღვაო, ველი შენგან ხსნას.
აქ დამწყვდეული...
ვაფრქვევ სისხლისა ცრემლებს
გულ-ამღვრეული:
აგერ, მოჩსანს აქედამ
მთლად დანგრეული
ჩემი წმინდა ტაძარი
შეგინებული,
მისი საკურთხეველი
დაბნელებული...
ვხედავ ნათლად აქედამ
სიცრუის ბუდეს,
და მთელს ქვეყანას, მბურავს
მყრალს წუმპე-გუბეს...
ვხედავ ძალას სპეტაკსა
პირქვე დამხობილს
და წყვდიადის დამრღვევსა
სანთელს ჩაქრობილს.
ვხედავ უმანკო მსხვერპლთა
ცრემლის ნაკადულს,
სულს შებორკილს, შებოჭვილს.
დამწვარ-დადაგულს!..
ვხედავ ძალ მომრეობას
გათამამებულს!
მტარვალობას სისხლის მსმელს,
გამძვინვარებულს!
სიმრუდეს და სიბილწეს
გამეფებულსა
და ჯოჯოხეთს მოლხენილს,
გამარჯვებულსა!
ვხედავ... ბევრს რასმეს ვხედავ..
გული მიკვდება!
ყველა ეს ვის ვაუწყო?
ვინ მიმიხვდება
მაღალ კოშკში დამწყვდეულს,
მასხარად აგდებულს
და ყველგანა, ყოვლისგან
ვაჰ, დავიწყებულს!
აქ მდარაჯობს ვეშაპი
გაუმაძღარი,
შიშის ზარის დამცემი,
ბილწ-საზიზღარი!..
ჩემო გულო და სულო,
ჰოჲ, მშვენიერო,
მოდი, მიხსენ, ლომ-გულო,
ზღვაო ძლიერო!
შევერთდეთ და შევიქნეთ
ერთ ხორცა, ერთ სულად
და შევმუსროთ წყვდიადის
ნაშენნი სრულად.
დავუბრუნოთ ქვეყანას
კეთილ-დღეობა;
სათნოებამ კვლავ იწყოს
თვისი მზეობა!»...
ზღვა სდუღს და ჰღელავს.. ზღვა ჰქუხს, გრიალებს;
ზვირთებს აქაფებს, ბდღვინავს, ღრიალებს.
მიხტის ვეფხივით.. მირბის.. მიჰქროლავს;
იმ კოშკს შემუსრავს.. ვეშაპსა შთანთქავს!..
ვაჰ! წინ კლდოვანი მოჩანს ნაპირი,
მაგრამ არ შიშობს ზღვა, გმირთა გმირი
და მთელის თავის მრისხანე ძალით
შეუტევს კლდესა ყიჟინ-ზახილით!
მაგრამ ამაოდ! შეუპოვარი
დგას შეურყევლად ის კლდე მაგარი;—
მწარე დაცინვით უკუგდებულსა
დაჰყურებს ზღვასა გააფთრებულსა!..
ზღვა შფოთავს, ჰღელავს... ზღვა არა სცხრება,
ღონეს მოიკრეფს და ყალხზე დგება
მრისხანე მჭექავ-მგრგვინავი, ვით რისხვა ღვთისა,
მარდი და სწრაფი, ვით ელვა ცისა,
მოპირდაპირეს კვლავ მივარდება,
მაგრამა ისევ... ისევ მარცხდება!
ზღვა სტირს, ქვითინებს... მაინც არ ცხრება,
კლდეს ფერხთ უკოცნის და ევედრება:
«კლდეო, გამიშვი, გამიშვი მალე,
გულს ნუ მიკოდავ, შენ გენაცვალე!
ჭირში მყოფ გმირსა პატივი მეცი:
განზე გადექი და გზა მომეცი,
რომ აზრის უმალ ჩემს გულის დამწველს
დროზედ ვუშველო ტურფა სანატრელს!»
მაგრამ გულცივი, უტყვი და წყნარი
დგას შეურყევლად ის კლდე მაგარი...
აქ ზღვა ქვითინებს, იქ, კოშკზე, ქალი.
ორივ ტყვე-ქმნილი, ორივ საწყალი.

გ. მაყაშ—ი.

მოელიან ამ ქვეყნის საუკეთესო შვილები. ჭეშმარიტად, დროა მოგვენიჭოს ეს დაწესებულებანი... არც ისეთი ველურები ვართ, რომ მათი ღირსნი არ ვიყვეთ... ეს დაწესებულებანი—სკოლაა, ხალხის აღმზრდელი, ხალხის წინ სრბოლის უზრუნველ-მყოფელი... მათის მეოხებით მალე, ძლიერ მალე შეიცვლება ხალხის ცხოვრება და აღყვავდება ჩვენი კურხეული ქვეყანა მრავალ მხრივ.

რუსეთი

— მსტისლავში (მოგილ. გუბ.) 13 ოკდომბერს გლეხებისა და წვრილ მოქალაქეთა ბრბომ დაამტვრია და გასცარცვა 22 მაღაზია, ლუდის საწყობი და დაიტაცა ქუჩაში გამოფენილი მრავალი საქონელი. სამის დღის განმავლობაში ამ ქალაქში შეიკრიბა 2,000 სათადარიგო ჯარის კაცი და მათი გამცილებელი ნათესავები და ნაცნობები. 11 ოკდომბერს ეს აუარებელი ბრბო გარს შემოეხვია მთავრობის ბრძანებით დაკეტილ არყის დიდ სარდაფს და არაყი მოითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს. ერთი საათის შემდეგ, გუბერნატორის ნებართვით, სარდაფი ორი საათით გაღებული იქმნა. მეორე დღეს სარდაფი ბრბოს სურვილით ხელმეორედ გააღეს. შუადღისას ზოგიერთებმა მაღაზიებში საქონელი იყიდეს და ფული არ მისცეს, საღამოზე მაღაზიების კარების მტვრევა დაიწყეს. 13 ოკდომბერს დილის 6 საათიდან ბრბომ არყის სარდაფი ისევ გააღებინა. საღამომდის 6 კაცი არყით გაყიდვას ძლივს ასწრობდა. არყით დამთვრალი ხალხი ეცა ებრაელების დუქნებს, ატყდა კლიტეებისა და კარებების ჯახა-ჯუხი. ბრბო «ურას» ძახილით გრიგალივით დარბოდა ერთი დუქნიდან მეორემდე. ყიჟინა და ყვირილი მცარცველებისა და ტირილ-ღრიალი გაცარცულებისა, რომელნიც შველას ამაოდ ეძებდნენ, საზარელს სურათს წარმოადგენდა. მცარცველები სახლ სახლ დადიოდნენ და ფულს თხოულობდნენ, ცარცვა გლეჯა შუა ღამემდე გაგრძელდა, შუაღამისას კი ნადავლი ფურგუნებში ჩააწყეს და წაიღეს.

უცხოეთის წვრილი ამბები.

პროფესორ პეტერსონზე თავდასხმა. ქალ. ჰეიდელბერგში ამას წინად თავს დაესხნენ პროფესორს პეტერსონს, რომელიც ადგილობრივ «წითელის ჯვრის» კომიტეტის თავმჯდომარედ ირიცხებოდა და რომლის მეთაურობითაც შორეულ აღმოსავლეთში მიემგზავრებოდა ამ კომიტეტის ერთი ნაწილი. პროფესორი ბოროტ-განმზრახველთ ჯერ მიწაზე დაუნარცხებიათ და შემდეგ გაუცარცვავთ. როგორც ექიმებმა შეამოწმეს, პეტერსონს ტვინი აქვს შერყეული.

ჰენრიხ ჰეინეს ნათესავი. პარიჟში ამ დღეებში გარდაიცვალა ქ-ნი არმანი ჰეინე, რომელიც ცოლი იყო ბანკირისა და ნათესავად მოხვდებოდა პოეტს. განსვენებული ბიცოლა იყო ქმართან ვაჟრილ კნეინა მონაკოსი, რომელიც გათხოვებამდე აგრეთვე ჰეინეს გვარს ატარებდა და ბიძაშვილად მოხვდებოდა ცნობილს ქველმოქმედს ფურჯადო ჰეინეს.

ქორწინება ავტომობილზე. რაც ევროპაში შეუძლებელია და წარმოუდგენელი, ის ამერიკაში ჩვეულებრივი მოვლენა არის. ამას წინად ქალ. სან-ლუიში ქორწინება გააჩაღეს ავტომობილზე. მეფე-დედოფალი წრეს-გარდასულნი თაყვანისმცემელნი იყვნენ ავტომობილით შეჯიბრებისა და ეს კიდევაც დაამტკიცეს მით, რომ ერთს მშვენიერს დღეს გარდასწყვიტეს და ჯვარი დაიწერეს კიდევაც ავტომობილში მსხდომთ. ცერემონიის შესრულების შემდეგ, ახლად ჯვარდაწერილები ავტომობილითვე გაემართნენ სამოგზაუროდ; ალაყაფის კარებამდე ისინი გააცილეს ნაცნობ-მეგობრებმა, აგრეთვე ავტომობილებით. რომ თავისი განზრახვა სიძეს სისრულეში მოეყვანა და ავტომობილშივე ჯვარი დაეწერა—საჭირო იყო ეკკლესიის შესავალ კარების გადაკეთება, რაც მან თავისის ხარჯით სიამოვნებით გააკეთა.

თეატრი და ხელოვნება

მაქსიმ გორკის პიესის წარმოდგენა პეტერბურგში. ამას წინად პეტერბურგში კომისარჟევსკაიას თეატრში წარმოადგინეს მაქსიმ გორკის ახალი პიესა «მოაგარაკენი»; წარმოდგენა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გვაუწყებენ, რაღაც არა ჩვეულებრივის გაუგებრობითა და სკანდალით გათავდა.

პიესა საშინლად ჰკიცხავს ეხლანდელ ინტელიგენციას. თავდაპირველად პიესამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე, მეორე მოქმედების შემდეგ სცენაზე ავტორიც კი გამოიხმეს, მიართვეს ორი გვირგვინი და ხანგრძლივის ტაშის კვრითა და ვაშას ძახილით დააჯილდოვეს. მაგრამ აი, ჩამოუშვეს ფარდა მესამე მოქმედების შემდეგ და ვაშას ძახილთან ერთად გაისმა საშინელი სტვენა და ყვირილი. ავტორი თხოვნისამებრ სცენაზე გამოვიდა, გაჩერდა სუფლიორის წინ და ისეთის თვალით გადახედა მთელს საზოგადოებას, რომ სტვენა მალე შესწყდა და სიჩუმე ჩამოვარდა.

მეოთხე მოქმედების შემდეგ კვლავ განმეორდა დაუსრულებელი ვაშა-ვაშას საერთო ძახილი და ავტორი არა ერთხელ გამოიხმეს სცენაზე. ხალხი მაინც არ იშლებოდა და დაჟინებით თხოულობდა ავტორს, რომ კვლავ გამოეცხადებინა მისთვის მადლობა, მაგრამ ამ დროს სცენაზე რეჟისორი გამოვიდა და ხმა-მაღლა განაცხადა:

— ავტორი შინ წავიდაო.

სამწუხარო შემთხვევა ოდესის თეატრში. ამ დღეებში ოდესის სახალხო თეატრში თამაშობდნენ ოპერა „პაიაცებს“. მეორე მოქმედებაში, როგორც ვიცით, ბოშა კანიო დანით ჰკლავს თავის მეტოქეს სილვიოს. ფარდის ჩამოშვების დროს ყველამ შენიშნა, რომ მსახიობი გორლენკო, რომელიც სილვიოს პარტიას მღეროდა, საშინლად ფერ-წასული იატაკზე ეგდო და ოდნავ ლუღლუღებდა: «ღვთის გულისათვის, მიშველეთ, ჩქარა ექიმი»-ო. მალე შენიშნეს, რომ მსახიობს მარცხენა ხელის თითები სულ ერთიანად გასისხლიანებული ჰქონდა. სცენაზე ერთი აურ-ზაური ასტყდა, რაც, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩა თეატრში მყოფს საზოგადოებას, რომელიც თვალის დახამხამების უმალ სცენაზე ავარდა და უთავბოლოდ ჰყვიროდა. ამ დროს ექიმიც მოვიდა და მსახიობს გორლენკოს შეუხვია ხელის თითების ჭრილობა, და თან განაცხადა, რომ ჭრილობა საშიშოა: შეიძლება შედეგათ ერთის თითის სრულიად მოკვეთა მოჰყვესო. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, საქმე აი რაში ყოფილა: მსახიობს ბასანინს საბუტაფორო დანის ნაცვლად, შეცდომით ხელში სამზარეულოს ბასრი დანა აღო და როდესაც გორლენკოს გულში დასაცემად მოუღერა, ამ უკანასკნელმა, რომ უფრო რეალური თამაში გამოეჩინა, წინ წამოიწია და ორივე ხელები გულზე მიიკრა. ამ მოძრაობის დროს უცაბედათ დანას წააწყდა და თითებიც საშინლად დაიჭრა.

წერილი
რედაქციის მიმართ.

(პასუხად ბ-ნთ ფალიაშვილს, ნატრაძეს, ქორიძეს და ყარაშვილს).

გამოვექიდო და ვილაპარაკო თქვენ მიერ «ცნობის ფურცელში» დასტამბულ წერილზედ, სწორედ მოგახსენოთ, მაგისთვის არც დრო მაქვს და არც მოცალება; არცა ღირს საპასუხოდ მაგნაირი უბილო წერილები.

რაც შეეხება იმას, რომ ფილარმონიულ საზოგადოების დაარსების ინიციატორობა მემიმეთვისებინოს, არა მგონია, ეგ ვინმემ სთქვას ჩემზედ და ან ვისმეს ჩემი პირიდგან მაგნაირი რამე გაეგონოს; მაშასადამე, რათ დასჭირდათ წერილში ჩხიკვაძის ღვაწლის ქება, მე სულაც ვერ გავიგე. იქნებ იმიტომ, რომ ჩხიკვაძის გულისთვის ბ-ნი ფალიაშვილი და კ-° რაიმე საამო მალამოს, ეძიებენ: ამ სამკურნალოს ძებნაში მეც დაგეხმარებით და თქვენდა დასამშვიდებლად მოგახსენებთ, რომ ის დაფნის გვირგვინი, რასაც ვითომ მე ვიმზადებდი საზოგადოების ინიციატორობის მითვისებით, თქვენთვის დამითმია და გთხოვთ აიღოთ და ბ-ნ ჩხიკვაძეს დაადგათ; ამის მეტით, ჩემდა საუბედუროდ, ვერაფრით ვერ ძალმიძს გასიამოვნოთ ვერც თქვენ და ვერც თქვენს ზურგს უკან მოფარებულთ.

რაც შეეხება ბ-ნ მირიანაშვილის ღვაწლს, სწორედ მართალია, მაგრამ ერთი ვინმეც დაგვიწყებიათ. შარშან-წინ, მაისში, ბ-ნმა ნატრაძემ სამი მანათი გადმომცა, ეს ფული წესდების დაბეჭდვას მოვახმარე და, ჩემდა საუბედუროდ, დღევანდლამდე ვერ დამიბრუნებია, თუმცა კი, მართალი ვსთქვა, მე ნატრაძესთვის ფულის სასესხებლად არას დროს არ მიმიმართავს, და მეც ასე მეგონა, ის ფული ისე იყო მოცემული, როგორც სახარჯო ამ საქმისათვის. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მინდა მოგაგონოთ, რომ ესეც ღვაწლია.

რაც შეეხება ზემოხსენებულთა გულის წყრომას იმაზედ, რომ ჩვენ საზოგადოების სახელით ვმოქმედობთ, ამაზედ შემდეგი უნდა მოგახსენოთ: ჩვენ სურვილი გვაქვს მოვამზადოთ ოპერა «სევილიელი დალაქი» და როცა ფილარმონიული საზოგადოება იქნება დაარსებული, მზა-მზარეულად მივართვათ და ისარგებლოს მის წარმოდგენით. ვსთქვათ, ზემოხსენაბულნი პირნი იქმნენ საზოგადოების გამგეობის წევრებად ამორჩეულნი, ნუ თუ ამისთანა შეწირულებაზედ უარს იტყვიან? რატომ ჩვენ ნება არ გვაქვს ამისთანა საჩუქარი მივართვათ საზოგადოებას მას შემდეგ, თუ კი ბ-ნი მირიანაშვილი ინებებს დემონის ლიბრეტოს შემოსავლის შეწირვას!?

ვსთქვათ, საზოგადოებამ მიიღო ეს შეწირულება, ნუ თუ ამავე საზოგადოების გამგეობა სათაკილოდ მიიჩნევს, რომ გამოფინოს აფიშა ამნაირს ზედწარწერით: «საზოგადოების მიერ წარმოდგენილი იქმნება «სევილიელი დალაქი» და სხვა.

კიდევ ერთმა გარემოებამ გამაკვირვა. ზემოხსენებულ პირთ მოსურვებიათ ორის კალმის მოსმით დასწერონ საზოგადოების აღორძინების ისტორია. თუნდაც რომ ასე მოქცეულიყვნენ, მაინც არ უნდა დავიწყებოდათ და არ დაემალათ ის წერილი, რომელიც მე მივწერე ბ-ნთ ყარაშვილს, ქორიძეს, მონადირაშვილს და სხვებს 1901 წ. 18 სეკდემბერს, როცა არც ბ-ნ ჩხიკვაძის მიერ შემუშავებულ წესდების ხსენება იყო, არც ფალიაშვილისა და არც სხვისა, მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ამ საზოგადოების დაარსების ისტორიას მე მაშინ ვაუწყებ ქართველობას, როცა ოფიციალურად დაიწყებს იგი მოქმედებას.

ეხლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენ, ოთხ-ხუთს კაცს, განზრახვა გვქონდა ქართველობას გავმასპინძლებოდით იმ დღეს, რა დღესაც ფილარმონიული საზოგადოება ოფიციალურად გაიხსნება. ეს გამასპინძლება ის იქმნებოდა, რომ დილით შეიძლება გამგეობის წევრების არჩევნები ყოფილიყო და საღამოთი ამავე საზოგადოების სახელით წარმოდგენილი იქმნებოდა ოპერა «სევილიელი დალაქი» და თუ შემოსავალი რამ იქნებოდა, საზოგადოების სასარგებლოდ გადადებულიყო; რადგანაც ამისთანა ჩვენი განზრახვა არ მოსწონთ ზემოხსენებულ ბატონებს, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ.

თქვენის დევნითა და წერილებით ჩვენ გზას არ გადავუხვევთ. ამ ჟამად «სევილიელ დალაქს» სწავლობენ მომღერლები და ხოროც. შემდეგისთვის ითარგმნება «დემონი» და, იმედია, მოვახერხებთ წარმოდგენასაც. იმის მაგივრათ, რომ მოხვიდეთ და გვირჩიოთ რამე ამხანაგურათ, მოჰყოლიხართ წერილების წერას; დალოცვილებო, ქართველი რომ არ ვყოფილიყავ, მაშინ თუ გამაკვირვებდით მაგისთანა წერილებით, ხოლო ახლა თქვენი საქციელი არც ჩემთვის და არც რომელისამე ქართველისათვის საკვირველი არ არის.

კიდევ გეტყვით:—საქმე გვიჩვენეთ, საქმე, თორემ ჩვენმა ბევრმა ბზუილმა ყველას თავი მოაბეზრა.

P. S. ბატონებო! გული არხეინად შეინახეთ. კარგარეთელი, გარწმუნებთ თქვენ არას წაგართმევთ. არც ინიციატორობა, არც წევრობა, არც დამაარსებლობა არ სწადიან. ამას კი ვიტყვი, ჩემდა სასახელოდ, იქნება მე რომ არა ვცდილიყავ, ეგ წესდებაც და ეგ საზოგადოებაც დღეს ისევ ოცნების სამფლობელოში ყოფილიყო. ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ ესეც კმარა.

ი. კარგარეთელი.

სვანეთში ორის კვირით *).
XXV.

დადიშკელიანების ოჯახში დაცულია მეთორმეტე საუკუნის მშვენიერი ხელოვნების ვერცხლის ყუთი, მთლად, მოსევადული გარედგან და აჭრელებული ძველი კუფიური წარწერებით და წონით იქნება ოცი გირვანქა. იგი უპოვიათ მიწაში, ეწერის ციხეში 1840—1843 წელებში და შიგ დებულა თამარ დედოფლის სარტყელი—ქამარი, რომელიც დღეს ქალბატონს დადიანისას აქვს თურმე. სიგრძით იქნება თორმეტი გოჯი, სიგანით ექვსი.

აქვეა დაცული ძველი ვერცხლის სასმისი (თასი), რომლითაც სუფრაზედ მიართმევდნენ დადიანს დღესასწაულ დღეებში საუკეთესო ღვინოს. ამ თასიდგან დადიანი იღებდა ღვინოს აზარფეშით და უბოძებდა წყალობის ნიშნათ თანა მესუფრეებსა. სიგანე თასისა თოთხმეტი გოჯი იქნება და შუაში ხუთი ძვირფასი ზურმუხტის ქვა უსხედს. ამ თასს გარშემო აწერია (გარედგან) ორ სტრიქონად.

№ 118. „ქ. ეჴჲ ცისა და ქუეყანისა დამბადებელო, მამისა ჩუენისა ადამისა მამაო, ლატალის მაცხოვარო, ჩუენ მიწამან შენმან, ბრძანებითა შენითა გამადლებულმან მეფემ დადიანმან პატრონმან ვამეყ და დედოფალთა დედოფალმა პატრონმა ელენემ, ოდეს იმერეთს მეფენი გარდაშენდენ და ძალითა და შეწევნითა შენითა დიდსა და შავს ჯიქეთს შუა მეფობა და დადიანობა ჩუენ დავიჭირეთ და მონდობილმან თქუენმან შემოგწირეთ ჩარა თვალებიან სი ესე ჩუენ სადღეგძელოდ, საქმისა ჩუენისა წარსამართებლად და გასამარჯვებლად, სულისა ჩუენისა სახსრად, სახად შვილების ჩუენისა გიორგისა და ბაგრატისა, ასულისა ჩუენისა დარეჯანისა სადღეგძელოდ. შენ მოწყალეო მაცხოვარო ლატალისაო შეიწირე მცირე შესაწირავი ესე“. ძირზედ აწერია ხვეული ასო ჩართულით: «მეფე ვამეყ. ელენე».

1660 წ. მიიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე და დარეჯან დედოფალმა იმერეთის სამეფო საქმეები არივ-დარია: თავისი გერი ბაგრატი ჯერ შეირთო, მერე თვალები დასთხარა. ამის გამო ახალციხის ასლან ფაშამ შეიპყრა დარეჯანი თავის ქმრით ვახტანგით (ჭუჭუნიას შვილი) და ბაგრატის ცოლი ქეთევანი (ასული კახეთის მეფის დავითისა † 1648 წ.). ამ დროს მართლაც რომ «იმერეთს მეფენი გარდაშენდენ»; ამით ისარგებლა ვამეყ დადიანმა და თვისი ასული მიათხოვა არჩილ ვახტანგის ძეს. ამ მოყვრობისა გამო ვახტანგ მეფემ და ვამეყ დადიანმა გაიყვეს იმერეთი: ბუჯის წყლის აღმოსავლეთით ქართლის მეფეს ვახტანგს დარჩა და დასავლეთით ვამეყ დადიანს. მაგრამ ცოლის ჩაგონებით,—ვამეყმა უარჰყო მოყვრობა ვახტანგისა და არჩილის დაწინდული მიათხოვა ლოლობერიძეს. ამით გულ-ნატკენი ვახტანგი ამხედრდა, მიესია ვამეყს და დაიპყრო სამეგრელო. საბრალო ვამეყი შეეფარა სვანეთში, მაგრამ ამ დროს სახელოვანმა ლეჩხუმის ერისთავმა ხოსია ლაშხიშვილმა, ვახტანგ მეფის ბრძანებით, შეუჩინა კაცები და ვამეყი მოაკვლევინა. ამ წარწერით ვხედავთ, რომ ვამეყი ამ დიდი თასის შეწირვით თავშესაფარს იმზადებდა სვანეთში მისრული გაჭირვების დროს. 1)

აქვე დაცულია ხელნაწერი ლექსიკონი საბა ორბელიანისა. იგი მთელი თაბახის ქაღალდზეა ნაწერი და წარმოადგენს შესანიშნავს განსხვავებულ ვარიანტს. აქვს შემდეგი მინაწერები: № 119. „ანი, ალვა, სარო, ნაძვი ძირს უდგიან სავარდეს“. № 120. «ქ. ღმერთმან ადიდოს ორსავე შინა ცხოვრებასა თვისსა ბაგრატ მეფის შვილის შვილი, ოდიშის დედოფალი ბატონი გულქან, რომლისა ბრძანებითა იწერება სიტყვის კონა ესე წიგნი, ქ̃კს უმგ.» (=1755).

№ 121. «ღონი (ღ) ვიწყე სტეფანემ ძალითა ღვთისათა და ბრძანებითა ცაგერელ მიტროპოლიტის ბესან დადიანის შვილის გრიგოლისათა. ადიდოს ღმერთმან ორსავე შინა ცხოვრებასა დადიანის ოტია დადიანის დედოფალი გულქან, ა̃ნ». № 122. «ქრისტეს აქეთ ჩღჲგ (=1773 წელს) მაისსა იზ. თვით ბატონი მეფე სოლომან ამხედრდა, ოდიშს გაუხდა, მრავალნი დაარბივა და მრავალი ნაშოვარი წამოიღო მაშინ მისმა ჯარმა და ეს ლექსიკონი მაშინ იშოვნა ივანე მესხმა სახელდობ».

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. «ივერია», № 260.

„ივერიის ფოსტა“

პ. აკო—იას. თქვენი ლექსი „ავადმყოფს“ არ დაიბეჭდება.

მ. მოსეშვილს. „იმერული სიბრძნე“ და სხვა ლექსები რომ გამოგვიგზავნიათ, რა დაგიშავეთ საიმისო?

ქ. ბაქო. მ. ლეჟავაშვილს. „ნება მომეცით მადლობა გადავუხადო „დოხტურ“ გლაზსო“,—იწერებით. ნებას გაძლევთ—გადავუხადეთ მადლობა.

არ დაიბეჭდება ლექსები: **ზრ. ქ—ასი.** „ჰოლლეკურო!“.

პელაშვილისა.—„საქართველოს ერთს კუთხეს“.

ქართველ-სომეხისა. –„მგოსანს“.

ზედადიმელისა.—„ხმა აფთიაქიდან“.

ს ზინოვნიელისა.—„რატომ ჰქუხ, ცაო“.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

15 ნოემბერი.

მუკდენი. (საკ. კორესპ.). ამბობენ, იაპონელებს ცინჯოუში დაუქირავებიათ მიწის მთხრელებიო. ტიანძინსა და გაუბიცაში ინკოუდან მომავალ მგზავრებს სინჯავენ და უკრძალავენ 10 ლანზე მეტ ვერცხლის გამოტანასა. ანდუნსა, დაგუშანსა, ფინხუანჩენსა და ინკოუში, აგრეთვე ლიაოიანშიაც, მეციხოვნეთა მაგიერ მცირე რაზმებს სტოვებენ. მთელი ძალა პორტ-არტურისაკენაა მიქცეული. რკინის გზის დასავლეთად იაპონელებს გადაჰყავთ ცხენოსანი ჯარი. წუხელის იაპონელთა იერიში ლინშინპუზე მოვიგერიეთ.

ლონდონი. (რეიტერი). კონტრაბანდის შესახებ ლანსდოუნი ლივერპულის სავაჭრო პალატისათვის მოწერილს წერილში ამბობს,—მე ვღარაფერს დავუმატებ იმას, რაც უკვე გამოცხადებული იყო ამ საგნის შესახებაო. ინგლისი ისევ იმ აზრისაა, რომ ნახშირი, ბამბეულობა და მანქანები არ ჩაითვლება კონტრაბანდად; რაც შეეხება იმ მანქანებს, რომელიც აღმოჩნდა ინგლისის გემ «კალხასზე», ის აზრი მტკიცდება რომ მანქანებს მაშინ დაიჭერენ, თუ იგი სამხედრო საჭიროებისთვის არის დანიშნული.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა კუროპატკინისა ხელმწიფის სახელზედ, 14 ნოემბრის თარიღით: «ფინხუანჩენის რაზმიდგან დღეს შვიდ საათზე მიღებულ ცნობებით, ღამემ წყნარად ჩაიარა. დილის შვიდის ნახევარ საათზე მტერმა განაახლა შეტევა და ჯარის მარცხენა ფრთაზე შვიდ საათზე უკვე დაიწყო თოფის სროლა. 12 ნოემბრიდგან გუშინ საღამომდე რაზმს მოუკლეს 11 და დაუჭრეს 62 ჯარის კაცი. გარდა ამისა, დაჭრილთა ბლომა ნაწილმა მოისურვა ისევ რაზმში დარჩენა. იაპონელების დანაკლისი, რაზმის უფროსის აზრით, დიდია. ჩვენმა რაზმმა დავლად წამოიღო იაპონელთა ასი თოფი. როგორც დახოცილთა მუნდირები ჰმოწმობს, რაზმის შუაგულისა და მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ მოქმედებდა მეშვიდე სარეზერვო პოლკი. 13 ნოემბერს ჩვენის ჯარის შუაგულში, შახეს ნაპირას შტაბს-კაპიტანი კანკოვსკი თავისის როტის შვიდის თავგამოდებულ კაცით ხოხვით გავიდა მტრის სადარაჯო ადგილას და ხელ და ხელ მარტომ ტყვედ შეიპყრო იაპონელთა უნტერ-აფიცერი, რომელიც თავის სადარაჯო ადგილზედ გამოსულიყო. ტყვის ხმაზედ დანარჩენნი მცველნი სადარაჯო ადგილისა უკუ იქცნენ, მაგრამ ორი დაჭრილი მაინც ჩამორჩათ. სადარაჯო ადგილების მცველთ უკან დაედევნა იქვე მომუშავე იაპონელთა ორი როტა. ხანგამოშვებით ესროდნენ იაპონელებს თხრილებზედ მუშაობის დროს. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს 16 ნოემბრის თარიღით: 14 ნოემბერს ხელახალი წინსვლა იაპონელებისა ცინხეჩენთან ჩვენმა არტილერიამ შეაყენა. საღამოს 6 საათი იქნებოდა, რომ ბრძოლა შესდგა. ბრძოლის დროს ნამქერი ადგა, რის გამოც ბრძოლა შეჩერდა. ასე 3 საათზედ ამინდი შეიცვალა და შევნიშნეთ, რომ ჩვენის მარჯვენა ფრთისათვის მტრის ჯარებს შემოევლოთ. მტრის სამს როტას ჯერ ვერ მოესწრო გამოსვლა ხეობიდან, რომ ჩვენმა არტილერიამ ისევ უკან დააბრუნა. გუშინდელ დღეს ჩვენ ცოტა ზარალი მოგვივიდა. ტყვედ წამოყვანილ იაპონელებს აცვიათ ფუფაიკები, ჩიხოლში გამოხვეული მუნდირი და პალ-

ტო კარგის აქლემის ყელის მაუდისა, ბეწვის საყელოთი. 14 ნოემბერს თავგამოდებულთა რაზმმა, კაპიტან კოტლუბაის უფროსობით, დაიჭირა სოფელი ნანგანცი, პუტილოვის გორაკის წინ და შეიმაგრა იქ 20 წუთამდე თავი; თუმცა ძალიან ესროდნენ თოფსა, მაგრამ მაინც ჩვენებმა ნაღმი ჩაუწყეს იმ მაგარ შენობას, რომელიც სიმაგრედ ჰქონდა მტერსა, და იქიდან მოსვენებას არ აძლევდა ჩვენს სადარაჯო რაზმებსა. როცა ჩვენი რაზმები გამოვიდნენ, სამლოცველო აფეთქდა, ხოლო სოფელ ნანგანცის და მის გვერდით ხევს, რომელიც ჩვენების წასვლის შემდეგ მტერმა დაიჭირა, ჩვენ სროლა დავუწყეთ. ჩვენ ერთი ჯარის კაცი დაგვიჭრეს. 15 ნოემბერს მომხდარ ბრძოლის შესახებ ჯერ ცნობა არა გვაქვს».

მუკდენი. 15 ნოემბერი (საკ. კორესპ.) ამბობენ, რომ სათადარიგოთა დამატებით გამოწვევამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია კიუსიუსა და ოსაკის კუნძულზეო. საფიქრებელია ამიტომ, რომ კუროკის ლაშქრის ნაკლებობას უსწავლელ და გაუწრთვნელ ახალ ჯარის-კაცებით ავსებენ. როგორც ხმა ისმის, ხაიძეპუს მახლობლად დადგმულია ციხის სანგრევი ზარბაზნები ძველის ყალიბისაო.

ოდესა, 15 ნოემბერი. მანჯურიის მესამე ლაშქრის სარდალი ბარონი კაულბარსი დღეს გაემგზავრა მუკდენს. ბარონს თან ახლავს ათი აფიცერი მისის შტაბისა, რომელიც ოდესაში იქმნა შემდგარი.

ტოკიო, 14 ნოემბერი (რეიტ.) რუსთა ორის მეზღვაურის გვამი ნაგასაკში დაასაფლავეს.—200 დაჭრილთა შორის, რომელნიც «რიურიკიდან» გადასხეს, ხუთი გარდაიცვალა; დანარჩენების მორჩენის სრული იმედია.

ტოკიო, 15 ნოემბ. (რეიტ.). დღეს შეიკრიბა პარლამენტი. ოფიციალური დაწყება მისის მუშაობისა მიკადოს სეფესიტყვით ხვალ არის დანიშნული.

ლონდონი, 15 ნოემბ. «რეიტერის სააგენტოს» მიუღია წერილი პეშავერიდან 24 ოკდომბრის თარიღით: ქაბულიდან ამბავი მოვიდა, რომ ემირს გაუფრთხილებია განაპირა პროვინციების გუბერნატორები, ფხიზლად იყავითო. ემირი აძლიერებს თურმე იმ ჯარებს, რომელიც საზღვრების დასაცველად არის დანიშნული და 20,000 ჯარის კაცს ჰგზავნის ჰერატს იქაურ ჯარების მისაშველებლად.

საღამოს დეპეშები.

16 ნოემბერი.

მუკდენი. (საკ. კორესპ.). 14 ნოემბერს საპიორებმა ააფეთქეს სიმაგრე პუტილოვის კლდის წინა. დღეს გათავდა ბრძოლა ტინხენჩენთან. 230 მოკლულ იაპონელთა გვამი მოვკრიფეთ, ბევრი მოვკრიფეთ აგრედვე თოფები ძველის ნიმუშისა, გვირაბის სათხრელი იარაღი და ტომრები ჰრილობათა შესახვევ მასალით სავსე.—ის ხმა, რომ პორტ-არტურს ალყა შემოხსნესო და კუროკის მაგიერ დაინიშნა პრინცი სანვანეო, ჯერ ოფიციალურად არ არის დამტკიცებული.

ჩიფუ, 17 ნოემბ. (რეიტ.) კუროპატკინმა გაიჩინა თავისთვის ახალი ავტომობილი 20 ცხენის ძალისა. ამ ავტომობილით სასწრაფოდ ათვალიერებს ჯარს და გაუვლის ხოლმე შუბლ წინ. ეს შუბლი 25 მილის მანძილზეა გადაფენილი. ავტომობილების ოსტატი რავუარი, რომელმაც სამი კვირა გაატარა მუკდენში და ახლა აქ არის, ამბობს, რომ გენ. კუროპატკინს უნდა 20 ავტომობილი კიდევ სხვა შეიძინოს, ისეთის განსაკუთრებულის მოწყობილებისა, რომ შეიძლებოდეს საჩქაროდ წაღებ-წამოღება იმითი თოფ-იარაღისა, თუ ვინიცობაა საჭიროება იქმნება. ამ ავტომობილების ხმარება შესაძლებელი იქმნება მხოლოდ ზამთარში, როცა მანჯურიის გზები შვენიერია ხოლმე. ჩინელები ცრუ-მორწმუნოებრივის შიშით შეჰყურებენ ახლა ავტომობილით მოსიარულე კუროპატკინსა. რავუარმა სთქვა, რომ ორივე ლაშქარი ერთმანეთის პირდაპირა სდგას და თითოეულს უჭირავს სამ-სამი რიგი სიმაგრეო. ჯარის კაცნი ორისავე ლაშქრისა უმეტეს ნაწილად მიწურებში სცხოვრობენ, თხრილებს იქიდან. ამ მიწურებში მაშინაც კი თბილა, როცა ცეცხლს არ ანთებენ. როცა თოვლს დასდებს ხოლმე თხრილებზედ, ალაგ-ალაგ ნაყარი მიწა თეთრ დათვებსა ჰგავს, თითქო მთელი ნახირია მათ აქ შეკრებილი და ემზადებიან ერთმანერთს თავს დაესხანო. რუსის ჯარები მშვენიერს გუნებაზედ არიან. ჯარის კაცნი განუსაზღვრელად ენდობიან თავიანთ უფროსებს და იმედი აქვთ, კუროპატკინი ზამთარში წაგვიყვანს საიერიშო ბრძოლისათვის. რუსებსა ჰყავთ ახლა 300,000 ჯარის-კაცი. მუკდენში მხოლოდ რამდენიმე ასი დაჭრილი იქნება, ხარბინში კი 30,000 კაცია. რავუარს ციმბირის რკინის გზით უვლია. დიდი მოძრაობაა ამ გზაზეო და მაინც დაბრკოლება არა ეძლევა-რა მიმსვლელ-მომსვლელსაო. მუკდენიდან ხარბინამდე მრავლად არის საწყობნი, სავსე სურსათითა, რომლისათვისაც ჯერ თითქმის ხელი არ უხლიათ, რადგან აქამდე მხედრობა საზრდოობდა უმეტესად იმ სურსათით, რომელსაც გარშემო შოულობდა სოფელქვეყანაში.

ჩიფუ, 15 ნოემბ. (რეიტ.). რუსეთის არტილერია მუკდენთან ახლა უფრო გამოცდილია და დახელოვნებული, ვიდრე პირველში, როცა ზარბაზნებს არა ჰმალავდნენ. საფარს არ უკეთებდნენ და მტერი მალე აფუჭებდა ყუმბარების სროლითა. ახლა ისწავლეს მათი ხმარება და დიდის მოხერხებით ჩასაფრება. იაპონიის არტილერია-კი ამავე დროს თითქო შესუსტდა. საყოველთაო აზრია, რომ პორტ-არტური თავს დაიჭერს მიშველებამდე, როდესაც უნდა მოხდეს ეს მიშველებაო. დიდი იმედი აქვთ ბალტიის ფლოტისა. კუროპატკინი ცოტასა ლაპარაკობს, ერთად-ერთხელ ჩამოაგდო თურმე რავუართან ლაპარაკი სამხედრო საქმეთათვის და სთქვა, რომ ყოველივე ისე მიდის, როგორც მე მინდოდაო, ისევ ვაგონში სცხოვრობს. იმ გარემოებამ, რომ მის სადგომში მთელს ღამეს სანათი არა ჰქრება და მისი შუქი მუდამ სჩანს, დაჰბადა ზღაპარი, კუროპატკინს არას დროს არა სძინავსო. ოფიცრები ისე არიან მიჩვეულნი, რომ სრულიად არ უკვირთ, როცა კაცი მისდით უდროო-დროს, კუროპატკინი გიბარებთო. ერთად-ერთი დრო დასვენებისა მისთვის სადილია. სადილად მიწვეული ჰყავს ხოლმე მრავალი აფიცრობა. კუროპატკინი სვამს მხოლოდ მადნეულს წყლებს. რავუარი ამბობს, რომ, ჩემის აზრით, კუროპატკინი არას დროს მუკდენისკენ არ დაიწევს. მაშინ თუ იზამს ამას, როცა მეტის-მეტად დამარცხდება. რავუარი ჰგონებს, რომ რუსნი გაიმარჯვებენ ამ წინა-მდებარე ომშიო.

მუკდენი, 15 ნოემბ. (რეიტ.) «რეიტერის სააგენტოს» კორესპონდენტი, რომელიც რუსეთის აღმოსავლეთ ლაშქარშია, იუწყება, რომ იაპონელები იერიშით მოვიდნენ სინანჩენთან, დალინის ქედს ახლოს რუსთა ჯარზედ და სამის დღის ბრძოლის შემდეგ უკუ-ქცეულ იქმნენო. ბრძოლა მაინც ჯერ არ გათავებულა. იაპონელებმა ახლა გაამაგრეს ციხის სანგრევი ზარბაზნები. ეს ზარბაზნები ძალიან უშლიან ხელს რუსებსა.

კაპშტადი, 13 ნოემბ. (რეიტ.) იუწყებიან რომ როჟესტვენსკის ესკადრა ნახშირით იტვირთება სვაკოპმუნდას ახლოვო.

პარიჟი, 16 ნოემბ. (ჰავასი). «ექო დე პარიმ» ხელის-მოწერა გამოაცხადა და ფულს აგროვებს საპატიო ხმლის მისართმევად გენ.-ად. სტესსელისათვის. შეგროვებულია უკვე 15,000 ფრანკი.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

გამოსადეგი ცნობანი:

პეტერბურგის ბირჟა

12 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,60(?)
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,30
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,52 1/2
ბირჟის დისკონტი	6—7 1/2 %
4% სახელმწიფო რენტა	92 ნ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	89 3/8 მყიდ
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	424 1/2 წ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	322 ნ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	272 1/2 წ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4 1/2% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	91 წ. გაყ.
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

განცხადებანი

„ცოდნა“-ს წიგნის მაღაზიაში

ისყიდება:

დიდი სურათი შოთა რუსთაველისა აკაკის ლექსით ბრისტოლის ქაღალდზედ.	60 კ.
რაჭა სოსიკო მერკვილაძისა.	20 კ.
ლექსები ილია ჭავჭავაძისა—სურათით	15 კ.
რაშია ბედნიერება? იასე რაჭველისა	10 კ.
სამშობლო და კაცობრიობა ი. მაჭავარიან.	10 კ.
სიმღერა აკაკისა—სურათით.	15 კ.
წმიდა გიორგის რაზმი აკაკისა	5 კ.
გრიგოლ ორბელიანის ლექსები.	20 კ.
კულტურა ლიპერტისა ნათ. კ. ყიფიანისა	50 კ.
ლექსიკონი რუსულ-ქართული	50 კ.
ლექსიკონი საბა ორბელიანისა.	3 მნ. ,,
ლექს—ონი სახოკიასი რუსულ-ქართულად.	20 კ.
სამეგრელოს საერო სკოლები ლ. ლოლუასი	5 კ.
ბაში-აჩუკი აკაკისა	30 კ.
ვაჭრული ჭკუა აკაკისა	5 კ.
პატარა ჩონგური (დედა ენა)	5 კ.
დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტ.	5 კ.
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 კ.
სამი ზღაპარი	10 კ.
აბრაამის და იობის ლექსი	3 კ.
თამარ მეფე სურათით	5 კ.
თხზულება ია ეკალაძისა	1 მან. ,,
ქვათა ღაღადი ი. ჭავჭავაძისა	,,—30 კ.
იგივე რუსულად თარგმანი	,,—50 კ.
დამაკვირდი, ბრძენთა აზრები	,,—50 კ.
მამიდა ასმათი გ. წერეთლისა	,,—20 კ.
ჩემი თავ გადასავალი აკაკისა	1—,, ,,
სიტყვიერების თეორია ე. კ.	1—,, ,,
გლეხი კაცის ისტორია 2,3, და 4 ნაწილი	1—80 კ.
დამონებულნი ნათ. თ. სახოკიასი	1—,, ,,
ლექსიკონი ქართ.-რუს. ჩუბინაშ. ყდ.	9—,, ,,
ამ გვარივე რუსულ-ქართული ყდით	3—,, ,,
ლექსიკონი რ. ერისთავისა ბოტანიკ.	,,—60 კ.
ანტონ ქათალიკოზ. ქართ. ღრამატიკა	1—50 კ.
ვახუშტის გეოგრაფია	2—,, ,,
ისტორ. საბუთები შიო მღვიმის მონასტრ	,,—50 კ.
ვეფხვის ტყაოსანი წ. კ. გამოცემული.	,,—60 კ.
მზა მეტყველება ანტონ ქათალიკოზისა.	2—50 კ.
დავით გურამიშვილი	1—,, ,,
ქართლის ცხოვრება I, II და III.	1—80 ,,
Вступл. Грузіи въ сос. Рос. Имп.	,,—40 к.
Исторія Грузинск. церк. Е. К.	2 р. ,, ,,
კალმასობა იოვანე ბატონიშვილისა	1—,, ,,
ამირან-დარეჯანიანი	1—,, ,,
ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა	1—,, ,,
რამას განდევნა ალ. ს—შლისა.	,,—40 კ.

თხზულებანი: აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა. ალ. ყაზბეგისა, მამია გურიელისა, გიორგი წერეთლისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟა-ფშაველასი, არაგვისპირელისა და სხვათა.

სურათი თამარ მეფისა დიდი	1—50 კ.
» » » პატარა.	» 6 კ.
„ აკაკისა ბრისტოლის ქაღალდზე.	50 კ.
„ ილია ჭავჭავაძისა	50 კ.
„ ალექსანდრე ყაზბეგისა	50 კ.
,, რაფიელ ერისთავისა.	40 კ.
,, ბარნაშვილისა	50 კ.
,, ეგნატე ნინოშვილისა	30 კ.
,, გიორგი წერეთლისა	30 კ.
,, ლეონიდე ეპისკოპოზისა	30 კ.
ჯგუფი თამარისადმი ვეფხ. ტყაოს. მიმართ.	50 კ.
საქართველოს დიდება, საბინისასა.	1—20 კ.
სურათები ქართველ მწერალთა და მსახიობთა საფოსტო ღია ბარათზე თითო.	,,—5 კ.

აქვე ისყიდება სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები და ყოველგვარი ქართული წიგნები.

ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას, დაუყოვნებლივ გაეგზავნება ფას დადებით.

მისამართი ფოსტით: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე**.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულის და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ **ერთი მან.**, ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили.

(10—5)

За годъ съ пересылкой **6 р.**

ОТКРЫТА **на 1905 г.** ПОДПИСКА на еженедѣльн. иллюстриров. журналъ и газету

27-й годъ издан. **„РОДИНА“** 27-й годъ издан.

РАЗСРОЧКА допускается при подпискѣ **2 р.**

Каждый подписчикъ получитъ въ теченіе года:

52 №№ иллюстрир. литер. ЖУРНАЛА **52** №№ полит. и обществ. ГАЗЕТЫ **52** № иллюстр. „Всемірное Обозрѣніе“ **52** № иллюстрир. „РАЗВЛЕЧЕН. въ часы отд.“

48 КНИГЪ
1) 12 книгъ РОМАНОВЪ РУССКИХЪ ПИСАТЕЛЕЙ
2) 12 книгъ СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ **Осипа ШУБИНА**
3) 12 книгъ содерж. статьи по научн. вопрос. и свѣд. для практ. жизни библіот. „ЗНАНІЕ и ПОЛЬЗА“
4) 12 книгъ, назыв. „ОБЩЕПОЛЕЗНАЯ БИБЛІОТЕКА“: 12 руководствъ для самообразованія

Безплатныя приложенія: 12 № „Другъ дѣтей“, 12 № МОДНАГО журнала, 12 № лист. выкроекъ, 12 № лист. рисунковъ для любительск. раб., 12 № лист. узоровъ въ краск.,
ТАБЕЛЬ КАЛЕНДАРЬ и КАЛЕНДАРЬ-справочникъ на 1905 г.

большая ОЛЕОГРАФІЯ съ картины **„ЗА ЧЕСТЬ и СЛАВУ РОССІИ“** | большая ГРАВЮРА въ тонахъ **„НА ВОЙНУ въ 1877 г“.**

Подробная программа безплатно. — „РОДИНА“, С.-Петербургъ, Лиговская, д. 114.

4—6—3

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ანა მერკვილაძისა.

ვისაც უნდა დაიკვეთოს 1905 წ.

კალენდარი (სათვეო)

„ცოდნა“

მიჰმართონ სოსიკო მერკვილაძეს.

◆ კალენდარი ჰღირს ორ შაურად ◆

ვინც ერბაშად ასს ცალზე მეტს იყიდის, კალენდარი დაეთმობა

ექვს-ექვს კაპეიკად.

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, № 12.

ფოსტით: მისამართი Тифлисъ. Книжный магазинъ „ЦОДНА“.

(10—9).

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვათ, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

დაარსებულია 1847 წელს

მარითადი თანხა	**1.650.000 მან.**
სათადარიგო თანხ	**2.664.808 მან.**

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ორხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა ფულისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350 ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლში, დინოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433.

(50—6—48)